უფასო
ჩვენი გაზეთი
19 ივლისი
2018 წელი
№4 (32)
ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

ვლადიმერ მაიაკოვსკი – 125

„მაიაკოვსკი ღვთაებრივი ყმაწვილია, რომელიც არავინ იცის საიდან გამოგვეცხადა“ – უთქვამს ანა ახმატოვას. „საქართველოდან, უფრო ზუსტად... ბაღდათიდან, ბაღდათიდან მოვიდა. ასი წლის შემდეგ ვპასუხობთ დიდ რუს პოეტ ქალბატონს... ჩვეულებრივ სიმაღლეებს ზღვის დონიდან ზომავენ, არავის უნდა გაუკვირდეს, თუ მეოცე საუკუნის რუსული პოეზიის ამ დიდი მთის სიმაღლე „ხანისწყლის“ დონიდან ავითვალოთ, ის იყო მისი პირველი ემბაზი. ხანისწყლის ხმაური, ხანისწყლის ტალღების რიტმი იგრძნობა მის პოეზიაში, სმენა უნდა ამის გაგონებას, მზერა უნდა ამის დანახვას...“ ასე პასუხობს მართლაც დიდ რუს

ღვთაებრივი ყმაწვილი

პოეტს შესანიშნავი ქართველი პოეტი ზაალ ებანოიძე, რომლის უტყუარ ალღოს არ შეიძლება სხვაზე უკეთესად არ ეგრძნო ამ მიწიდან ამოზრდილი პოეტური სამყარო. დიახ, მაიკოვსკი ქართველია თავისი ბუნებით, უფრო სწორად: „მაიკოვსკი დავალებულია იმერეთის ბუნებით, მაიაკოვსკის ტემპერამენტი იმერეთის ტემპერამენტია“ – როგორც ამბობს გალაკტიონი და თუ უფრო მეტი სიზუსტე გვინდა ამ საკითხში, ზაალ ებანოიძეს დავეკითხოთ – „ხანისწყლის ხმაური, ხანისწყლის ტალღების რიტმი იგრძნობა მის პოეზიაში“.

„სამშობლო სოფელი ბაღდათი, ქუთაისის გუბერნია, საქართველო“. ასე ამბობს რუსული პოეზიის აისბერგი – ვლადიმერ მაიკოვსკი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში: „მე თვითონ“. თან ამ სათქმელს მთავარს უწოდებს.

„ვალში ვარ
თქვენთან –
დიდ ბროდვეის ლამპიონიავ,
ბაღდათის ზეცავ,
სივრცეში რომ არ გაქვს
საზღვარი,
ჩვენო არმიავ,
ალუბლებო იაპონიის,–
და მის წინაშე
რაზეც წერა
ვერ მოვასწარი“.

მთარგმნელი: მიქელ პატარიძე

ეს არის სტრიქონები მაიაკოვსკის ლექსიდან „საუბარი ფინინსპექტორთან პოეზიაზე“. მაშინ როცა საბჭოთა ხელისუფლებამ ანგარიში დაიწყო თუ რამდენი ჰქონდა პოეტს „სისტემის“ ვალი, მან ამ ლამაზი სტრიქონებით გასცა პასუხი. ის თვლიდა, რომ მათი არა და ვალი ჰქონდა ბაღდათის ზეცის, ქართული მიწის, ვალი სიყვარულის. ამ მიწიდან აფრენილმა მსოფლიო დაიპყრო თავისი გენიალური სტრიქონებით, უშრეტი პოეტური ენერგიითა და სურვილით, შეეცვალა სამყარო უკეთესობისკენ.

აქაურ სითბოს შეჩვეული კაცისთვის ყოველთვის რთულია „სხვა“ სამყაროში

ცხოვრება, მარტოსულად გრძნობს თავს. ანდამატივით რომ იზიდავს დაბადების და ბავშვობის ადგილები.

„შმაგი ცხოვრების ვკითხულობდით თითეულ ასოს!
მიდიხარ საით მიგაქანებს, ნეტავ განგება.
ზურგჩანთა ხელად იქცეოდა ხელებში
ლასოდ,
ეტლის გამხდარი ჯაგლაგები კი –
მუსტანგებად.
ბავშვობა ჩვენი, შორეული, თუ
გახსოვს ისე,
ჩასაფრებული ქუთაისში, ყვავილნარიდან,
კოლუმბის გემებს რომ ვუშენდით
მონამლულ ისრებს?“

ვლ. მაიაკოვსკი. „მექსიკა“

„წავიდეთ ბიჭებო ტფილისში. ეს ერთადერთი ქალაქია, ჩემი ქალაქი, სადაც აყალმაყალი არ იქნება, უყვართ ახალი პოეტები და სტუმრების დახვედრაც იციან“. ასე ეპატიჟებოდა მაიკოვსკი თავის მეგობრებს საგასტროლოდ საქართველოში 1914 წელს. მაშინ ქუთაისში ჩამოვიდა, ერთი დღით ჩამოირბინა, როგორც ჩვენთან იტყვიან. ბაღდათში ჩამოსვლა ვერ მოახერხა.

1963 წელს ნიკოლოზ შენგელია იგონებდა: „1930 წლის 13 აპრილს, ქართველი მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა დავალებით, ვლადიმერ მაიაკოვსკი საქართველოში მოვიწვიე. გვინდოდა გვეზეიმა პოეტის იუბილე და მოსკოვიდან მისი გამოფენა ჩამოგვეტანა. დიდხანს და დაწვრილებით ვმსჯელობდით ამ გამომგზავრების თაობაზე. ბოლოს ვლადიმერ ვლადიმერის ძემ მითხრა: – ტფილისში მუშაობის, საჯარო გამოსვლების შემდეგ ჩემს მშობლიურ ბაღდათში ჩავალ. დილით თავზარდამცემი ამბავი შევიტყვეთ – ჩვენი მაიაკოვსკი ცოცხალი აღარ იყო“.

ცოტა ძნელია იმის დაჯერება, რომ გენიალური პოეტი, კონკრეტული შემოქმედებითი და ცხოვრებისეული გეგმებით (აპირებდა რომანისა და დიდი პოემის დაწერას, ოჯახის შექმნას, მშობლიურ ბაღდათში ჩამოსვლას) ასეთ გაურკვეველ და საეჭვო გარემოებებში იკლავდეს თავს, „ეს“ იმ რეჟიმის კისერზე იყოს, ჩვენ კი მოვიტყუოთ თავი, დავიჯეროთ მისი თვითმკვლელობის ისტორია. ერთი ცხადია, ის იქ, სიცოცხლის ბოლო დღეებში უაღრესად არამეგობრულ, უფრო სწორად, მტრულ გარემოში იმყოფებოდა. რომ ჩამოსულიყო, იქნებ მისი მშობლიური ბაღდათი, ქუთაისი, საქართველო შეშველებოდა მძიმე სულიერი კრიზისის გადალახვაში.

კოტე კიკნაძე

გვახსოვს

ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედებაში, მართალია, არ ჩანს ეკბატანისა და შირაზის ბაღების ვარდები და არც მათი სურნელება იგრძნობა, მაგრამ ცივილიზებული ბარბაროსობის ეპოქა მასშტაბურად არნახული ძალითა და ექსპრესიულობითაა წარმოდგენილი, სწორედ იმ სიმაღლით, როგორადაც ბაირონმა ასახა თავისი ეპოქის კაცობრიობის ტრაგიკულობა და სევდა „ჩაილდ ჰაროლში“.

ვლადიმერ მაიაკოვსკი მთელი სხეულითა და სულით შეჭიდებია სინამდვილის მხატვრულად გარდაქმნას და ისეთი სინამდვილის შექმნაზე ზრუნავს, რომელიც დააკმაყოფილებდა მის გულწრფელ მორალურ სურვილებსა და მის, გარკვეულ წილად, მიამიტურ ბუნებას. იმ მტრულ და არნახულად არეულ გარემოში, რომელშიდაც მას უხდებოდა ყოველდღიური მუშაობა, შეუძლებელი იყო არ დაგეშვა შეცდომები, რომელიც კიდევ უფრო სახიერად დაანახებდა მისი დროის დარღვეულ კავშირებს.

სევდიანი ოპტიმიზმით გასცქერის პოეტი მომავალს და დაუკმაყოფილებლობის გრძნობით აღმოხდება – ბაღდათის ზეცის, იაპონიის ალუბლებისა და ბროდვეის ლამპიონების წინაშე გადაუხდელ ვალზე წუხილი.

თითქოსდა მშვენიერ ქალთა გარემოში მოქცეულა და იკმაყოფილებს თავის სასიყვარულო სურვილებს, სინამდვილში კი ეს მეტად საეჭვო ქალთა გარემო უნდობლობით უცქერის მას და მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებებისა და სურვილების დაკმაყოფილებისათვის გაუბამს პოეტთან ურთიერთობა; არც თუ იშვიათად კიდევაც ბრძანებლობენ მასზე და უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ პოეტს.

ვლადიმერ მაიაკოვსკი თვალს უსწორებს აწმყოს და მაღალი მორალურ-პოლიტიკური პათოსით ქმნის თავის შედევრებს – „კარგია“, „150000000“, „ფლეიტა ხერხემალი“, „ბაღლინჯო“, „აბანო“ და სხვა მრავალს. მასზე, როგორც პოლიტიკურ პოეტზე, ზოგჯერ უარყოფითად ლაპარაკობენ, მაგრამ მოდით ვთქვათ, რომელი დიდი პოეტი არ იყო პოლიტიკური პათოსით დატვირთული: დანტე ბაირონი, შელი, შილერი, ჰიუგო, პუშკინი, ადამ მიცკევიჩი, პასტერნაკი, ცვეტაევა, ახმატოვა და ბევრი სხვა.

სწორედ ამიტომაც იყო ყველა აქ ჩამოთვლილის ცხოვრება ტრაგიკული და მაღალზნეობრივი. ვლადიმერ მაიაკოვსკიც ამ უმაღლეს პოეტთა კასტის უსათვალსაჩინოესი წევრია და სიკვდილი მისი, ორივე შემთხვევაში, თვითმკვლელობისა თუ პოლიტიკური ტერორის გზით, მის პიროვნებას აქცევს, როგორც ბოლშევიკური ავტორიტარიზმის განაჩენის გამომტან სიმბოლურ ფიგურად. იგი ერთგვარი წინასწარმეტყველებით მიმართავს თაობებს:

„громче из сжатого горла храма
хрипи, похоронный марш!
люди!
когда канонизируете имена
погибших,
меня известней–
помните...“

ვლადიმერ მაიაკოვსკიმ თავისი გენიალურობით მოახდინა საკუთარი სახელის კანონიზირება და ამიტომაც მუდამ გვემახსოვრება იგი.

ნუგზარ კუჭუხიძე

ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ისტორია

როგორც ცნობილია, დიდი რუსი პოეტი, მხატვარი, მსახიობი, სცენარისტი და დრამატურგი ვლადიმერ მაიაკოვსკი გარდაიცვალა 1930 წლის აპრილში. მისი სახლ-მუზეუმის დაარსება ქართული ინტელიგენციის ცნობილ წარმომადგენლებს სურდათ გარდაცვალებიდან წლისთავზე, ამ საქმის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო შესანიშნავი საზოგადო მოღვაწე და მწერალი დია ჩიანელი (დავით ჩხეიძე).

გთავაზობთ ამონარიდს ნიკოლოზ კუჭუხუხიძის მოგონებებიდან: „დია ჩიანელის სტუმრობას ჩვენს ოჯახში ის მიზანი ჰქონდა, რომ გაცნობოდა სახლ-კარსა და ეზო-გარემოს, იქ მცხოვრებლებს, რათა მოემზადებინა ნიადაგი მუზეუმის დაარსებისათვის. ჩემს წინაპრებს დიდი პატივით მიუღიათ სტუმრები, ისინი გაცნობიან ცალკეულ ნიუანსებს, მოუსმენიათ საინტერესო მოგონებები მაიაკოვსკების ოჯახზე, აღფრთოვანებაც გამოუთქვამთ ჩემს წინაპრებს მუზეუმის დაარსების იდეაზე, სუფრაც კარგი გაშლილა და მოულხენიათ.

დია ჩიანელს გავუცვნივართ მე და ჩემი ძმები და უთქვამს: ამათგან ერთ-ერთი მუზეუმის დირექტორი გახდებაო. ყოველივე ეს ჩემი წინაპრებიდან ვიცი“.

მუზეუმის დაარსება 1931 წელს ვერ მოხერხდა, მიუხედავად დია ჩიანელის დიდი მცდელობისა და მონდომებისა. ყოველივე ამის რეალიზება მოხდა მხოლოდ გარდაცვალებიდან 10 წლისთავზე - 1940 წლის 14 აპრილს, როდესაც მაიაკოვსკის პიროვნება უკვე კარგა ხნის რეაბილიტირებული იყო, ყოველივე ამას დია ჩიანელი ვეღარ მოესწრო.

საინტერეროა ის გარემოება, რომ მუზეუმის დაარსებამდე და ოფიციალურად გახსნამდე საექსკურსიო ჯგუფები მაინც მოდიოდნენ სახლის სანახავად, მოდიოდნენ სკოლის მოსწავლეები და მისი თაყვანისმცემლები, მაიაკოვსკის შემოქმედებით დაინტერესებული პირები, მწერლები...

სტუმრებს ხვდებოდნენ და მაიაკოვსკის შემოქმედებაზე ესაუბრებოდნენ ლევან და ოლინკა კუჭუხიძეები, უყვებოდნენ მათ საინტერესო მოგონებებს მაიაკოვსკების ოჯახზე, იგონებდნენ მათთან გატარებულ წლებს, ათვალიერებინებდნენ იმ ოთახებს, სადაც მაიაკოვსკები ცხოვრობდნენ.

მუზეუმის დაფუძნებასა და მომზადებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის შესანიშნავ პიროვნებას, მაიაკოვსკის ბრწყინვალე მკვლევარსა და მის დიდ თაყვანისმცემელს - მიხეილ კოლოსკოვს, რომელიც სპეციალურად ამ საქმისთვის მოავლინეს მოსკოვიდან მაიაკოვსკის დედის რეკომენდაციით.

1943 წლიდან მაიაკოვსკის დედის რეკომენდაციით მუზეუმის დირექტორად დაინიშნა შესანიშნავი პოეტი, მაიაკოვსკის მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, ქართული ალპინისტური საზოგადოების დამფუძნებელი მიქელ პატარიძე. იგი პირადად იცნობდა მაიაკოვსკის და რამდენჯერმე ჰქონია მასთან საინტერესო შეხვედრა. მას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის მაიაკოვსკის მუზეუმისა და შემოქმედების პოპულარიზაციისა და საზოგადოების ფართო ფენებამდე მიტანის საქმეში. მისი მუშაობის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი მუზეუმის პირველი ლიტერატურული განყოფილების ხის შენობას, სადაც საკმაოდ მაღალპროფესიონალურ დონეზე იყო წარმოჩენილი მაიაკოვსკის პიროვნება და შემოქმედება, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლეოდა იმდროინდელი იდეოლოგია და პოლიტიკური თვალთახედვა. მიქელ პატარიძე მუზეუმს ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე, 1959 წლამდე.

მისი გარდაცვალების შემდეგ მუზეუმს სათავეში ჩაუდგა მიქელ პატარიძის ღირსეული მოსწავლე და მის ხელში აღზრდილი ნიკოლოზ კუჭუხიძე, რომელიც მანამდეც მუშაობდა მუზეუმში ჯერ ექსკურსია-მძღოლის, ხოლო შემდეგ მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. მის ხელმძღვანელობას სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა, რადგან ბატონი ნიკოლოზი იყო იმ კონსტანტინე კუჭუხიძის შვილიშვილი, რომელთანაც მდგმურებად ცხოვრობდნენ მაიაკოვსკები.

ნიკოლოზ კუჭუხიძე მუზეუმის თავკაცი იყო გარდაცვალებამდე, 2000 წლის სექტემბრამდე, 41 წლის მანძილზე. მისი ხელმძღვანელობის პერიოში მოხდა მუზეუმის ახალი ლიტერატურული განყოფილების აგება 1983 წელს, 90 წლისთავთან დაკავშირებით და იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მაშინდელი რესპუბლიკის მასშტაბით. 80-იანი წლების დასაწყისში მუზეუმში მომსვლელთა რაოდენობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და იგი 500 000 მიუახლოვდა.

ბაღდათში დღესაც ძალიან ბევრი სიყვარულით იხსენებს ბატონი ნიკოლოზის განსაკუთრებულ ერუდიციას, მის შესანიშნავ ორატორულ ნიჭს, საქმისადმი გამორჩეულ სიყვარულსა და სხვა მაღალმოქალაქეობრივ თვისებებს.

განსაკუთრებით მძიმე იყო როგორც ქვეყნისათვის, ასევე გამორჩეულად ჩვენი მუზეუმისათვის 90-იანი წლები, როდესაც მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა და ამ უმნიშვნელოვანესი ობიექტის გადარჩენა მოხდა წმინდა ენთუზიაზმისა და ცალკეული ღირსეული პიროვნებების პატრიოტული სულისკვეთების, შეიძლება ითქვას, თავგანწირვის საფუძველზე.

2000 წლიდან იწყება მუზეუმის ეტაპობრივი აღორძინების პერიოდი, არ შეიძლება დავივიწყოთ ბატონი ვაჟა ლორთქიფანიძის განსაკუთრებული ძალისხმევა, რომლის შედეგადაც მოხდა მუზეუმის კეთილმოწყობა და მატერიალურ-ტექნიკური კუთხით მოწესრიგება. იმავე წელს მუზეუმის ლიტერატურული განყოფილების პირველი სართულის ბაზაზე განთავსდა ბაღდათის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ასევე ბაღდათის იმდროინდელი ხელმძღვანელობის ინიციატივით, მუზეუმის ლიტერატურული განყოფილების ბაზაზე, დაფუძნდა ლიტერატურული სალონი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჩვენი სახელოვანი პოეტი ზაალ ებანოიძე.

განსაკუთრებულად გამორჩეული იყო მუზეუმისათვის 2008 წელი, როდესაც ფონდ „ქართუს“ დაფინანსებითა და სამშენებლო-საქველმოქმედო ფირმა „ატუ“-ს მონაწილეობით, მუზეუმში ჩატარდა სრულმასშტაბიანი აღდგენითი სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები. სრულიად მოწესრიგდა მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რესტავრაცია ჩაუტარდა ხის სახლს, მთლიანად გარემონტდა ლიტერატურული განყოფილება, მოწესრიგდა მუზეუმის მიმდებარე ინფრასტრუქტურა, ყოველივე ამის შედეგად, ჩვენი მუზეუმი ერთ-ერთ საუკეთესო ტურისტულ ობიექტად გადაიქცა იმ დროისათვის სახელმწიფოში. ფართო მასშტაბით აღინიშნა პოეტის დაბადებიდან 115 და 120 წლისთავი, რომელსაც სერიოზული გამოხმაურება და რეზონანსი მოჰყვა იმდროინდელ საზოგადოებაში.

ბაღდათში ყოველთვის დიდი მონდომებით აღნიშნავდნენ დიდი ხელოვანის დაბადების დღესთან დაკავშირებულ მრგვალ თარიღებს, ხოლო მუზეუმში ყოველწლიურად იმართება პოეტის დაბადებისა და გარდაცვალების დღისადმი მიძღვნილი სალონური ფორმის ლიტერატურული ღონისძიებები, რომელშიც ყოველთვის მონაწილეობენ ბაღდათის ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები...

წლევანდელი წელიც განსაკუთრებულია, აღვნიშნავთ პოეტის დაბადებიდან 125 წლისთავს. საიუბილეო ღონისძიებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები, შეიძლება ითქვას, ორი თვით ადრე დაიწყო. ბაღდათის მუნიციპალიტეტის თავკაცის არჩილ გოგსაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა საორგანიზაციო ჯგუფი, ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები მუზეუმისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, მუზეუმის ისტორიაში პირველად დამონტაჟდა ეზოს ფერადი განათება, რომელიც სრულიად სხვაგვარ ეფექტს შესძენს მას.

მინდა დიდი მადლიერების გრძნობით აღვნიშნო ის დიდი გვერდში დგომა და დაფასება, გულისხმიერება, რომელიც გამოიჩინა განსაკუთრებით ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ, ბაღდათის კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრის ხელმძღვანელობამ და ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანებამ. მათ ფაქტობრივად ყველაფერი გააკეთეს მნიშვნელოვანი საიუბილეო თარიღის ჩასატარებლად.

ყოველივე ეს კიდევ ერთი გამოხატულებაა იმ დიდი სიყვარულისა და პატივისცემისა, რომელსაც ჩვენი საზოგადოება იჩენს კონკრეტულად მაიაკოვსკისადმი, ზოგადად კულტურისადმი, ხელოვნებისადმი და მჯერა დროის გასვლასთან ერთად ეს სიყვარული და პატივისცემა კიდევ უფრო გაძლიერდება და გაღრმავდება.

გელა კუჭუხიძე

რევაზ ლაღიძე – 97

ჭიპლარშემოხვეული დაიბადა. ბებია თურმე შიშობდა, ბავშვს სამშობიარო ტრავმა არ დარჩესო. პროფესორს დაუმშვიდებია: ნუ გეშინიათ, ეს ბიჭი მარტო ბაღდათის კი არა, მთელი საქართველოს საამაყო ადამიანი იქნებაო... – იგონებს კომპოზიტორის და ეთერ ლაღიძე.

დედა – ლუბა ჯაფარიძე, ძალიან კარგად მღეროდა და უკრავდა გიტარაზე. მამა – ილია ლაღიძე, თბილისში რკინიგზის სამმართველოს მთავარი ბუღალტერი იყო. ვცხოვრობდით თბილისში, კლარა ცეტკინის ქუჩაზე, 139 ნომერში.

***1921 წლის 10 ივლისს, როგორც იგონებენ, საშინელი სიცხე ყოფილა. დედა ბაღდათში მშობლებთან – სპირიდონ ჯაფარიძისა და ფედოსი წერეთლის ოჯახში იყო ჩასული დასასვენებლად. მოულოდნელად მძიმე მშობიარობა დაწყებია. საბედნიეროდ, ამ დროს ბაღდათში იმყოფებოდა პროფესორი ნიკოლოზ კახიანი. მან საკეისრო კვეთით სიცოცხლე შეუნარჩუნა დედა-შვილს. ნათლიებმა ბიჭს რევზო დაარქვეს, იგი**

ნაწყვეტები რევაზ ლაღიძის ინტერვიუდან

პირველ მუსიკალურ შთაბეჭდილებას, რამაც ბიძგი მისცა მისი ნიჭის გამოვლინებას რევაზ ლაღიძე ასე იხსენებს: „მაშინ სკოლაში ვსწავლობდი. სოფელში ვატარებდი არდადეგებს. მიმიხაროდა ოფჩაში, სადაც ნათესავები, მეგობრები მეგულებოდნენ. ვბანაობდით, ვთევზაობდით, ვცელქობდით. ხშირად სოფლის სკოლის ეზოში ვთამაშობდით. ერთხელ რეპროდუქტორიდან შემომესმა ზაქარია ფალიაშვილის „დაისის“ შესავლის ჰანგები. დაუვიწყარია მღელვარება, რომელიც მაშინ განვიცადე. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა მუსიკასთან. აქედან დაიწყო მისი მოწონება, შეგრძნება. არც კი ვიცი, საიდან მქონდა მუსიკის აღქმის, მით უფრო, შეფასების უნარი. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. ზაქარია ფალიაშვილი დღესაც ჩემი კერპია, სიამაყეა.

მშობლებმა მიმაბარეს თბილისის მეშვიდე მუსიკალურ სკოლაში, რომელიც კალინინის ქუჩაზე მდებარეობდა. ძალიან უცხო სიტუაციაში აღმოვჩნდი. ვცხოვრობდი სტადიონთან. ბურთის თამაშით ვიყავი გატაცებული და, უცბად, სხვა გარემოში მოვხვდი. ვიოლინოზე დამაწყებინეს დაკვრა. ძალიან კარგი პედაგოგი მყავდა, თუმცა, საშინელი პედანტი იყო. როგორც კი როლში შევიდოდი, მეტყოდა: „სკრიპკუ ვიშე!“ ამის თქმა და ჩემი გათიშვა ერთი იყო. ასე მეგონა, მაწამებს-მეთქი. ეს სიტყვები სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. სამჯერ ვუგანე „სკრიპკას“, არ მინდოდა ვიოლინოთი სიარული. ამ ასაკის ბიჭებს ეთაკილებათ ხოლმე ზედმეტი ყუთის ტარება, მით უმეტეს, უკვე შერქმეული მქონდა მეტსახელი „სკრიპაჩ-ტრიპაჩ“. მეოთხედ კი ჩემი გადაწყვეტილება საბოლოო იყო. ერთ დღეს ჩვენს სკოლაში მოეწყო თვითშემოქმედებითი კონცერტი. აქ გამომადგა ჩემი სავიოლინო გამოცდილება: დავიხურე ძველი „შლიაპა“ და სცენაზე მოხეტიალე მუსიკოსის როლში გამოვედი. ამ დროს მოდაში იყო ასეთი სიმღერა – „პარახოდი მოდის, არ ჩერდება“... მეც სწორედ ამ „პარახოდს“ ვუკრავ ვიოლინოზე. დიდი წარმატება მქონდა. დამთავრდა კონცერტი. მგონია, რომ ყველა – დირექტორი, მასწავლებლები – შემაქებდნენ და მეტყოდნენ: „ყოჩაღ, რეზო!“ ნაცვლად ამისა, მითხრეს – ერთი ქალი გიბარებსო. მივედი, შემეკითხა: რა გვარი ხარ, რომელ მუსიკალურ სკოლაში სწავლობდიო, – უკვე იცოდა, რომ მუსიკის სწავლას თავი დავანებე. მუსიკალურ სკოლაში რომ მესწავლა, ცხადია, ასეთი „რეპერტუარით“ არ გამოვიდოდი. ხვალვე მამაშენი ჩემთან მოვიდეს ამა და ამ მისამართზეო. სკოლის დირექტორმა გამაფრთხილა: მამას გადაეცი, თორემ, ხვალ მე თვითონ შეგამოწმებო. გადავეცი მამას. მივედით, ეს ქალი აღმოჩნდა ჩვენი სასიქადულო ლარისა ქუთათელაძე. მაშინ ის თბილისის მეოთხე სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი იყო. სწორედ ამ ბედნიერმა დღემ გადაწყვიტა ჩემი მუსიკოსობა. მაშინ იქ ლუარსაბ იაშვილი ასწავლიდა. მას მიმაბარეს. ბატონმა ლუარსაბმა ძალიან დამაინტერესა, მიკიჟინებდა: „აბა შენი ჭირიმე, აბა შენ გენაცვალე“. მეც გატაცებით ვმუშაობდი ბგერაზე. ცოტა ხნის შემდეგ მოსწავლეთა სიმებიანი კვარტეტისთვის დავწერე სამი მინიატურა: „მგზავრული“, „იავნანა“ და „აღმოსავლური ცეკვა“. ამ კვარტეტში მეც ვმონაწილეობდი – პირველ ვიოლინოზე ვუკრავდი. სასწავლებლის კონსულტანტი იყო ცნობილი ქართველი კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი, დიდებული ადამიანი. ბატონმა დიმიტრიმ მითხრა: „ჩემო შვილო! შენს მომავალზე უნდა იფიქრო, საკომპოზიტორო ფაკულტეტზე უნდა ისწავლო“. ჩემი მინიატურები მოსწონებია. ასე გადაწყდა ჩემი ბედი. ჩავირიცხე კონსერვატორიაში პროფესორ ანდრია ბალანჩივაძის კლასში. ბატონმა ანდრიამ დამაყენა სწორ გზაზე. ანდრია ბალანჩივაძე ძალიან მომთხოვნი პედაგოგი იყო. კონსერვატორიაში დიდი დატვირთვით ვმეცადინეობდი, ამასთან ერთად ორ ადგილას ვმუშაობდი — ომის პერიოდი იყო, უჭირდა ხალხს, ყველა ვმუშაობდით. დილაობით სიმფონიურ ორკესტრში ვუკრავდი, მერე რადიოკომიტეტში მივდიოდი. მიუხედავად ასეთი დატვირთვისა, ჩაიკოვსკის სახელობის სტიპენდიანტიც

გაგრძელება მე-3 გვ.

დასაწყისი მე-2 გვ.

ვიყავი. კონსერვატორიაში შესვლისთანავე, პირველივე წელს, დავწერე სიმებიანი კვარტეტი, ვარიაციები, „ორი სიმღერა“. დროის უკმარისობას ვერ ვგრძნობდი. ყველაფრისთვის მოიძებნება დრო, თუ კაცი მოინდომებს – ამაში შემდეგშიც არაერთხელ დავრწმუნდი. სიმფონიურ ორკესტრში მუშაობამ დიდად შეუწყო ხელი ჩემს პროფესიულ მომწიფებას. გაფორმებული ვიყავი კონცერტმეისტერის დამხმარედ, ე.წ. „პოდრუჩნიკად“. მერე დამსვეს ბოლო პულტზე. წინ პარტიტურა მედო, ვუკრავდი: ბეთჰოვენს, ვაგნერს, ბერლიოზს, შუმანს, ლისტს, ჩაიკოვსკის... ასე დავეუფლე პარტიტურის კითხვას, საორკესტრო ხელოვნებას... ბევრი ნაწარმოები ასე შევისწავლე.

1949 წელს კონსერვატორიაში სადიპლომო შრომის, სიმფონიური პოემის – „სამშობლოსათვის“ მოსასმენად მკაცრი კომისია შეიკრიბა – დიდი ცოდნისა და გამოცდილების ადამიანები, რომლებსაც ბეთჰოვენზე, ჩაიკოვსკიზე, შოპენსა და სხვა გენიალურ შემოქმედებზე აქვთ ყური მიჩვეული და ტყუილუბრალოდ საქებარს ვერაფერს ათქმევინებ... და მე ვზეიმობდი „ხუთიანს“. ეს იყო ჩემთვის იმედის ვარსკვლავი. ასე დამთავრდა ხალისიანი სტუდენტობის პერიოდი...

მე ვერ ვიხსენებ ვერცერთ დიდ ხელოვანს, რომ მისი შემოქმედების მყარ საყრდენს მშობელი ერი არ წარმოადგენდეს. სწორედ აქედან მომდინარეობს შემოქმედის სიდიადეც. თუ ხელოვანი შეზრდილია ხალხთან, ცხოვრობს მათი მისწრაფებებით, სიხარულითა და ჭირ-ვარამით, მისი შემოქმედება ყველასთვის მისაწვდომი და გასაგებია. ცხოვრების ღრმა ცოდნა უფრო მრავალფეროვანს ხდის და ამდიდრებს ადამიანს. უფრო მეტიც, დროის დიდი ნაწილი ხალხთან უნდა გაატარო, ნურავის ეგონება, რომ ამით დრო იკარგება, პირიქით...

როცა ქვეცნობიერი სამყარო ხალხური სიბრძნით გამდიდრდება, როცა ხალხურ მელოდიაში ჩაღვრილ განცდას, სიხარულსა თუ წუხილს შეისისხლხორცებ, ნაწარმოებიც უთუოდ იმავე ენაზე ამეტყველდება, ოღონდ საკუთარი, განსხვავებული ხმით.

მე საერთოდ არ მიოცნებია კომპოზიტორობაზე. მამაჩემი, მეტად თავშეკავებული კაცი, იტყოდა ხოლმე: „ნეტავი ამ ონავრისაგან დადგება ოდესმე კაცი?“ ის მაიძულებდა, მესწავლა მუსიკა, მე კი ფეხბურთს ვთამაშობდი. გავუჩინარდებოდი მთელი დღით, გავურბოდი მუსიკას. შემდგომში, როდესაც მამამ ჩემი სიმღერები მოისმინა, ძალიან გაიკვირვა: „რეზო, ეს შენ ხარ?“ აი, ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი აღიარება. თქვენ ალბათ მეტყვით, მამისგან აღიარება ძალზე ადვილიაო, ჩემთვის კი მისი სიტყვები დღესაც ფასდაუდებელია...

ცხოვრებაში ჩემთვის ყველაფერი ძირითადია. აი, საყვარელი საქმე კი მუსიკის წერაა, ამითომაც არ ვაძლევ თავს უფლებას ვაკეთო ყოველდღიურად.

ამბობენ, მხატვრული კინოსურათი მუსიკალური ნაწარმოებების ყველაზე დიდი და სწრაფი პოპულიზატორიაო. წლების მანძილზე კინომუსიკაში ვდებდი მუსიკის თემებს, რომელიც გათვალისწინებული მქონდა მომავალი ოპერისათვის. ბევრი ნაყოფიერი და ბედნიერი დღეები მომიტანა კინოში გატარებულმა დღეებმა...

მახსოვს, სტადიონზე შესვენებისას კინოფილმ „საბუდარელი ჭაბუკიდან“ მუსიკას რომ უკრავდნენ, ასე მეგონა, მთელი სტადიონი მე მიყურებდა, უკან მოხედვის მცხვენოდა, აი, მაშინ ვღელავდი... მერე შევეჩვიე... ვფიქრობ, „საბუდარელის“ მსგავსი არაფერი შემიქმნია“.

აღიარებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი შენივე თანამოძმეების აღიარებაა.

ტყე და მდინარე ჩემი სისხლი და ხორცია... იგი თავისი იდუმალებით და საოცრებით ყოველთვის არის შემოქმედისთვის შთაგონების საგანი.

„...თუ რაიმე გამიკეთებია მუსიკაში, სულ ნადირობის პარალელურად. ჩემი მეგობრები ხუმრობდნენ, რეზოს რომ უთხრა, ცუდი კომპოზიტორი და კარგი მონადირე ხარ, გაუხარდება, მაგრამ კარგი კომპოზიტორის და ცუდი მონადირის სახელი რომ შეჰკადრო – ეწყინებაო. ერთხელ, ჩემი მეგობრები – ბიძინა კვერნაძე და დავით ცერცვაძე მახლდნენ ღორზე სანადიროდ. გადავწყვიტე, შემემოწმებინა და დარიგება დავუწყე: გამოქანებულ ღორს უნდა მოერიდო, ჩაუსაფრდე, არ შეიძლება პირდაპირ შეხვედრა-მეთქი. უცებ ძაღლების ყეფა გაისმა, ჩამოვრჩი და ვიყვირე: ღორი მოდის-მეთქი. იმ გზას, რომელსაც მივუყვებოდით, ნაკრძალის მაღალი ღობე გასდევდა გვერდით. შეშინებულმა დავითმა დაჭკრა ბიძინას მხარზე ხელი და ღობის მეორე მხარეს აღმოჩნდა, მას ბიძინაც მიჰყვა. სიცილი ვეღარ შევიკავე და ისინიც მიხვდნენ ჩემს ხუმრობას, მაგრამ, ნაკრძალიდან გამოსვლა არც ისე იოლი საქმე იყო. სად უნდა მეშოვა ღორი, რომ ამჯერად ღობის აქეთ მხარეს გადმოესროლა ჩემი მეგობრები?! დიდ მანძილზე მოუხდათ ეკალბარდებში სიარული.“

რევაზ ლაღიძე თავის დამოკიდებულებას ე. წ. „შლიაგერებთან“ ასე გადმოგვცემს: „მე ამას არ უარვყოფ. ამ მოდერნისტულ რითმებშიც არის ზოგჯერ რაღაც ისეთი, რაც მოქმედებს პირდაპირ ფიზიოლოგიაზე, ესთეტიკის გვერდის ავლით. მე მოგიყვანთ შედარებას: ასეთი მუსიკა, იცით როგორ მოქმედებს? როგორც ძლიერი, სპირტიანი სასმელი, მაგალითად, „ჭაჭა“. ყოველ ღვინოს თავისი ემოციური დატვირთვა აქვს: შუშხუნა - მხიარულებისთვისაა, ღვინის სხვადასხვა სახეები - დარდის გასაქარვებლად, არაყი - სასოწარკვეთილების სასმისია, ის თიშავს ადამიანს.

რისგან მზადდება ღვინო? ანბანური ჭეშმარიტებაა - ყურძნისაგან! მაგრამ სინამდვილეში იგი გრადუსებისა და მზისგან შედგება. ვისაც რა უნდა, იმას ირჩევს. ერთს გრადუსები სჭირდება,მეორეს - მზის სხივები...

ბოდიშს გიხდით იმაზე, რომ ასეთ შედარებას ვახდენ, მაგრამ მაიაკოვსკიც კი, რომელიც ჩემი მშობლიური ხანისწყლის ნაპირებზე გაიზარდა, ამბობდა:

„Вино и поэзия, И если ее
Хоть раз
По-настоящему
Испили рты –
Ее не заменит
Никакое питье,
Никакие пива,
Никакие спирты“.

აი, სწორედ ასე ვფიქრობ მეც მუსიკაზე. ამიტომ ვწერ...

მოგონებები კომპოზიტორზე და მის შემოქმედებაზე

„რეზო ჩემზე წელიწად-ნახევრით იყო უფროსი. როგორც კი სკოლიდან დაგვითხოვდნენ, მეორე დღესვე სოფელში მივემგზავრებოდით. ჩასვლისთანავე რეზო პატარა მდინარე „ლუხუტასკენ“ გარბოდა და იწყებოდა მოუწყენელი თევზაობა. ოფჩიდან ბაღდათში ბებია-ბაბუასთან ურმით მივდიოდით. ეს იყო ჯაფარიძეებით დასახლებული ერთი კუთხე, რომელსაც ჯაფარიძეების კუნძულს ეძახდნენ. ჩვენი ეზოს წინ წისქვილის არხი ჩამოდიოდა, ეზოს უკან კი – მდინარე ხანისწყალი. პირველად რეზო სათევზაოდ დედას ბიძაშვილმა – ვახტანგ ჯაფარიძემ წაიყვანა. მან ჩუმად რეზოს ანკესს თევზი მიაბა. გაგიჟდა ბიჭი სიხარულით ანკესზე თევზი რომ დაინახა. იმ სიხარულს, რაც მაშინ განიცადა, ხშირად იგონებდა კმაყოფილი ღიმილით. სწორედ იმ დღიდან გაიტაცა რეზო თევზაობის თავდავიწყებულმა სიყვარულმა.

რეზოს თავისი ფანტაზიით დაპყრობილი ჰქონდა ოფჩისა და ბაღდათის ყველა კუთხე-

კუნჭული. ერთი პერიოდი ხატვამაც გაიტაცა. ძალიან მოსწონდა შიშკინის ნახატები. გადაშლიდა ალბომს და საათობით ზეთის საღებავებით იხატავდა იქიდან ბუნების ხედებს. შემდეგ კი გადაინაცვლებდა ტყეში, მთაში, მდინარესთან და გატაცებით ხატავდა საყვარელი სოფლის პეიზაჟებს. ძალიან სასიამოვნო ნახატები ჰქონდა... მაგრამ მას სძლია მუსიკის სიყვარულმა და ხატვას თავი მიანება...

ბაღდათისა და ოფჩის განსაკუთრებული სიყვარული რეზოს მთელი ცხოვრება გაჰყვა. როდესაც სოფლიდან ვინმე ეწვეოდა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ერთხელ ვერიჩკა ბიცოლა გვესტუმრა. რეზომ ძალიან გაიხარა, გამოჰკითხა ოფჩის ამბები, მოიკითხა ახლობლები, თან ჩუმად მაგნიტოფონი ჩართო და ვერიჩკას იმერული დიალექტით საუბარი ჩაიწერა. წასვლისას გაისმა მაგნიტოფონის ხმა. ქალი დაიბნა, ჯერ ვერ გაიგო რა ხდებოდა, შემდეგ კი ეხვეწებოდა წაეშალა ჩანაწერი. რეზომ უთხრა, ჯერ დამპირდი, შემდეგ ჩამოსვლაზე რამდენ ლიტრ ღვინოს ჩამომიტანო (ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით), მაგრამ „უღვინოდ“ მოხდა მათი შეთანხმება და რეზომ ჩანაწერი წაშალა...“ იგონებს კომპოზიტორის და ეთერ ლაღიძე.

რევაზ ლაღიძის ქალიშვილი ლელა ლაღიძე იგონებს: „მამა ხშირად აღნიშნავდა: ზოგჯერ ვფიქრობ, მუსიკამ შემაყვარა ასე სიცოცხლე თუ სიცოცხლემ მუსიკაო...

გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა. დაეცა წნევა, გაუქრა მაჯისცემა... ექიმების მცდელობით მაჯისცემა ოდნავ გამოსწორდა, მაგრამ სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. თვალებიც არ ჰქონდა გახელილი, რომ მოულოდნელად მოგვესმა მისი ხმა – „იმღერეთ რამე!..“

არ ვიცი სიცოცხლის წყურვილმა მოაბრუნა ამქვეყნად თუ მუსიკამ...“

მორის ფოცხიშვილი:

„მის სიმღერებში ბორგავს სული ქართული, სიტყვა ქართული, მზე ქართული, ეშხი და პენი გაუხუნარი ივერიისა“.

ლადო გუდიაშვილი:

„სიმღერა თბილისზე“ ამაღლებული სულის, სიყვარულის, სიხარულის დაუსრულებელი სიმღერაა, რომელიც იხმოვანებს მანამ, სანამ იარსებებს მთაწმინდა, ქართული ენა, ქართველი ხალხი“.

ვერიკო ანჯაფარიძე:

„რეზო ლაღიძე ქმნიდა ისეთ მუსიკალურ ნაწარმოებებს, რომლებიც საოცრად ამდიდრებდნენ ფილმებს, სპექტაკლებს და აღაფრთოვანებდნენ მსახიობებს“.

რეზო ჩხეიძე:

„რევაზ ლაღიძემ მოგვიძღვნა უბრწყინვალესი მელოდიები საქართველოზე, რომლითაც ვამაყობთ, როგორც მაღალი კულტურის ერი და თამამად ვუსწორებთ თვალს მომავალს“.

მურმან ლებანიძე:

„რევაზ ლაღიძე ცხოვრობდა, როგორც ვაჟკაცი და ქმნიდა, როგორც პოეტი“.

მუხრან მაჭავარიანი:

„ძალიან ბევრი რამ მიეცემა დავიწყებას, მაგრამ შთამომავლობა არასოდეს არ დაივიწყებს რევაზ ლაღიძის მზიან მუსიკას“.

ბიძინა კვერნაძე:

„არ დარჩენილა ადამიანის სულის ისეთი სფერო, რომელსაც რევაზ ლაღიძის კალამი არ შეხებოდეს. მისი ჰანგების უმეტესი ნაწილი საერო ჰიმნებად შეერწყა ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებას“.

მიხეილ თუმანიშვილი:

„რეზო ლაღიძე კეთილი, სასწაულმოქმედი იყო, რომელმაც ადამიანებს სანოტო ნიშნებით აღნუსხული თავისი გულის სევდა და ხალისი დაგვიტოვა მუსიკალური შედევრების სახით“.

გრიგოლ აბაშიძე:

„რევაზ ლაღიძეს ჩვეულებრივი სმენის გარდა, მინდიას სმენაც ჰქონდა, სხვათა ყურისთვის მიუწვდომელი ხმები და ჰანგები ესმოდა“.

ნანი ბრეგვაძე:

„რევაზ ლაღიძის სიმღერები რომ არა, მე ჩვეულებრივი რიგითი მომღერალი ვიქნებოდი“.

ნინო რამიშვილი:

„მითხარით, ვინ უმღერა ასეთი გზნებით მშობელ მხარეს, მის ბუნებას, საყვარელ თბილისს, როგორც ეს რევაზ ლაღიძემ შეძლო?!“

გიგა ლორთქიფანიძე:

„ათასი მოდა ჩაივლის მუსიკაში, რეზოს მოდა არასდროს ჩაივლის. მისი მუსიკა ყოველთვის თანამედროვე იქნება“.

მასალა მომზადებულია ნათელა პაიკიძის წიგნის „რევაზ ლაღიძე – მოგონებებში გაცოცხლებული“-ს მიხედვით

განათლება

ბაღდათის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში საზაფხულო სკოლა გაიხსნა, რომელიც 2-დან 31 ივლისის ჩათვლით იფუნქციონირებს. მისი მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები 6-დან 18 წლის მოსწავლეების თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება, არაფორმალური განათლების გზით ცოდნის მიღებისა და კრეატიული ხელშეწყობის წახალისება. საზაფხულო სკოლას 60- მდე მოსწავლე ჰყავს (5-6 -დან 13 წლამდე). ისინი, ოთხი კვირის განმავლობაში, მათთვის მოწყობილ სივრცეებში შეძლებენ რეალიზაციასა და დასვენებასთან ერთად საკუთარი პოტენციალის გამოვლენას.

პროექტის ფარგლებში მოწყობილია ხუთი სივრცე (კრეატიული, ინტელექტუალთა, არტ-სივრცე, შემეცნებითი და კინოსა და მუსიკის სივრცეები) და ოთხი თემატური დღე (ეტიკეტისა და ესთეტიკის, ლაშქრობის, პოეზიისა და გარემოს დღეები).

საზაფხულო სკოლის იდეა სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების მოსწავლე-ახალგაზრდობის სექტორის მენეჯერს – მარინა ჩხეიძეს ეკუთვნის, პროექტის ხელმძღვანელობს ლიდერთა კლუბის ხელმძღვანელი თეონა ფახურიძე. საზაფხულო სკოლის შემაჯამებელი შეხვედრა 31 ივლისს გაიმართება.

ინფორმაცია მოგვაწოდა ბაღდათის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა

კულტურა

ანსამბლ „საირმეს“ დაარსებიდან 60 წელი, ლოტბარის – სულიკო ვეფხვაძის ანსამბლში მოღვაწეობიდან კი 40 წელი გასულა, ხოლო თავად ბატონი სულიკო ახლახან 80 წლისა შესრულდა. ეს საიუბილეო თარიღები შესაბამისად აღინიშნა რევაზ ლაღიძის კულტურის სახლში – „საირმეს“ დაბადების ადგილას და საიუბილეო კონცერტის სულისჩამდგმელი სულიკო ვეფხვაძე გახლდათ, მისთვის ჩვეული შემართებითა და ნიჭიერებით.

თამამად შეიძლება ითქვას, უმაღლესი დონის საშემსრულებლო ოსტატობით მომზადებული კონცერტი იხილა დარბაზში შეკრებილმა ბაღდათელმა მაყურებელმა და ქუთაისელმა სტუმრებმა, ქართულ ფოლკლორში სულიკო ვეფხვაძის ღვაწლზე მისმა აღზრდილებმა და კოლეგებმა სცენიდან ისაუბრეს.არც ის ხალხი დავიწყებიათ, რომლებმაც სათავე დაუდეს „საირმეს“ დაარსებას (ანდრო ქართველიშვილი, პარმენ ბუხაიძე).

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ და ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრმა კი იუბილარი სპეციალური საჩუქრით დააჯილდოვა.

* * *

5 ივლისს წყალტუბოში გამართულ ფესტივალზე „რეტრო 2018“ იმერეთის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტი შეუერთდა, მათ შორის ა. (ა). ი. პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ტრიო „იმერეთი“ (ნოდარ ფულარიანი, მერაბ ნერგაძე, ავთო გოგავა). ჟიურის თავმჯდომარე ცნობილი ქართველი კომპოზიტორი მაცაცო სებისკვერაძე გახლდათ. ტრიო „იმერეთის“ ნამღერი ჟიურის ყველა წევრმა 10 ქულით შეაფასა და ფესტივალის გამარჯვებული გახდა.

* * *

14 ივლისს მწერალ ნოდარ დუმბაძეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ა.(ა).ი.პ. ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ბაღდათის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ გამართა ღონისძიება სახელწოდებით „მზიანი გულის მწერალი“. საღამოზე გაიხსენეს მწერლის ცხოვრება და შემოქმედება. ნაჩვენები იყო დოკუმენტური მასალა ნოდარ დუმბაძის ცხოვრებიდან და მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული ფილმების ფრაგმენტები. ღონისძიებაში ჩართულები იყვნენ ბიბლიოთეკის ახალგაზრდა მკითხველები. საღამო ემოციურად დატვირთული აღმოჩნდა დამსწრე საზოგადოებისთვის.

ინფრასტრუქტურა

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა გრიგოლ დალაქიშვილმა, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ გოგსაძემ და მერის პირველმა მოადგილემ კახა ენუქიძემ მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს.

წელს 5 სოფელში: I და II ობჩაში, დიმში, ფერსათსა და საკრაულაში იგება ასფალტ-ბეტონის გზა.

აღნიშნული სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

სოფლის მეურნეობა

ჩეხური არაკომერციული ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდ“ (PIN) ახორციელებს პროექტს „მეფუტკრეობის მდგრადი განვითარება საქართველოში“, რომლის ფარგლებში ორგანიზაციის წარმომადგენელი ბაღდათელ მეფუტკრეებს შეხვდა და პროექტის პრეზენტაცია გამართა. შეხვედრის ბოლოს მონაწილეებმა შეავსეს მარტივი სარეგისტრაციო ფორმა, რომლის მიხედვითაც შეირჩევიან კურსის მსმენელები. პროექტი დაფინანსებულია ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ და მისი მიზანია საქართველოში ხარისხიანი თაფლისა და ფუტკრის სხვა პროდუქტების მოცულობისა და ღირებულების ზრდა, საქართველოს ბაზარზე ხარისხიანი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მცირე და საშუალო ზომის, 10-დან 160 სკის მფლობელ მეფუტკრეებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ უფასო თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსი (7 სალექციო დღე), რეგიონებში მოღვაწე მოწინავე მეფუტკრეების საწარმოებში. სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მათ საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ საგრანტო კონკურსში, რომელიც გამოცხადდება მიმდინარე წლის ბოლოს.

მსგავსი ტიპის საინფორმაციო შეხვედრები 2018 წლის 17-დან 27 ივლისის ჩათვლით საქართველოს სხვა რეგიონებშიც გაიმართება.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ PIN-is veb-gverdi: https://bit.ly/2LokrmG და ფეისბუქ-გვერდი www.facebook.com/PeopleInNeedGeorgiaPIN

ქველმოქმედება

5 ივლისს მამა ანდრია ყურაშვილის გარდაცვალებიდან 25 წელი გავიდა. მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდის შემდეგ, ყურაშვილების ოჯახის უცხოეთში მყოფი მეგობრის, საქველმოქმედო ორგანიზაცია „ჩეხოს სახლის“ დამფუძნებლის – ნინო ჩეხოშვილის მხარდაჭერით, მამა ანდრიას ოჯახის წევრებმა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად უფასო სასადილოს 56 ბენეფიციარს ნობათი გადასცეს.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი
საქართველო, ბაღდათი, ჯახიანის ქ. №3
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ქორიძე
ტექნიკური რედაქტორი დავით ყიფიანი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
მარიამ ოქროჭელიძე, ანჟელინა ჭავჭანიძე,
აზა მაშანეიშვილი, ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“